შეტყობინება მეექვსე

დაბრუნებული ტყვეების განწმენდის სიღრმისეული მნიშვნელობა

ადგილები წერილიდან: ეზრა 9:1–10:44; ნეემ. 13:23-30ა; მათე 5:8; გამოცხ. 21:18ბ, 21ბ; 22:4

I. უფლის აღდგენა არის რაღაც უნიკალური, და ის უნდა იყოს აბსოლუტურად სუფთა, უბრალო და წმიდა, არ უნდა ჰქონდეს არავითარი მინარევი, ამიტომ ჩვენ გვჭირდება, რომ „ეზრებმა“ და ნეემიებმა“ განახორციელონ გამწმენდი სამუშაო; უფლის აღდგენის ყველა ეტაპზე აუცილებელია გაწმენდა:

ა. ეზრამ განწმინდა აღდგენა, და გააკეთა ისე, რომ „წმიდა თესლი“ გამოყოფილი ყოფილიყო ყოველივე წარმართულისაგან – ეზრა 9:1–10:44:

1. ეზრას მოსვლამდე არსებობდა გარკვეული შერევა, რადგან ზოგიერთი ისრაელიანი დაქორწინდა წარმართ ქალებზე და ამ შერევისაგან მათ დაებადათ შვილები; ეს არის წინასახე, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სულიერად, და არა სიტყვასიტყვით.
2. უფლის აღდგენაში აუცილებელია განწმენდა, რათა გამოვყოთ „წმიდა თესლი“ ყველაფრისაგან, რაც არის წარმართული – 9:1-2:
   ა) უფლის აღდგენა არის წმიდა თესლი; ჩვენ უნდა ვიყოთ იმდენად სუფთები, რომ წმიდა თესლი არავითარ შემთხვევაში არ შეერიოს რაღაც წარმართულს.
   ბ) როდესაც აღდგენა იქნება წმიდა, ჩვენ დავინახავთ უფლის კურთხევას – ეზეკ. 34:26.

ბ. სახლის აშენების შემდეგ ჩვენ გვჭირდება განწმენდა (რომელიც ნაჩვენებია ეზრას ხელმძღვანელობით გაწმენდის მაგალითზე), ხოლო ქალაქის აშენების შემდეგ ჩვენთვის აუცილებელია განმეორებითი განწმენდა (რომელიც ნაჩვენებია ნეემიას აბსოლუტურობის მაგალითზე) – ეზრა 9:1-2; 10:1-44; ნეემ. 13:1-30ა.

გ. ადგილობრივ ეკლესიებში ჩვენ უნდა ვიყოთ მთლიანად განწმენდილი ყველა მინარევისაგან; ყველაფერი ჩვეულებრივი და ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება უფლის აღდგენის ზეციურ ბუნებას, უნდა იყოს ჩამოწმენდილი – 2 ტიმ. 2:19-22.

II. ბაბილონი არის ღმერთის კერპებთან ნაზავი, და ბაბილონის პრინციპი არის პრინციპი ადამიანურის შეზავებისა ღმერთის სიტყვასთან და ხორციელის შეზავებისა იმასთან, რაც მიეკუთვნება სულს – 2 ნეშტ. 36:6-7; ეზრა 1:11; გამოცხ. 17:3-5:

ა. ყველაფერი, რაც არის ბაბილონის ნაწილი, ამაზრზენია ღმერთის თვალში, და ყველაფერი ბაბილონური აძლევს სატანას საფუძველს, რომ დაამარცხოს ღმერთის ხალხი – იესო ნ. 7:1-21.

ბ. ღმერთს სძულს ბაბილონის პრინციპი უფრო მეტად, ვიდრე რაღაც სხვა; მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ ვასამართლებთ ყველაფერს, რაც არის ბაბილონური ჩვენში, შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ჩვენც გვძულს ბაბილონის პრინციპი.

III. საქმეების 21-ე თავსა და იაკობის წერილში ჩვენ ვხედავთ ნაზავს; იაკობმა შეაზავა ძველი აღთქმა ახალ აღთქმასთან, ახალი მოწყობა ძველთან, ღმერთის ახალი ხალხი ძველთან და ახალი კაცი ძველ კაცთან – იაკ. 1:1, 17-18; 2:1-4, 8-12; 3:2; 4:11-12; 5:10-11:

ა. საქმეების 21-ე თავში მხილებულია საშინელი ნაზავი ეკლესიაში იერუსალიმში; მორწმუნეები იუდეველთაგან ჯერ კიდევ იცავდნენ მოსეს კანონს, რჩებოდნენ ძველაღთქმისეულ მოწყობაში და იმყოფებოდნენ ძლიერი იუდეველური გავლენის ქვეშ, აზავებდნენ ღმერთის ახალაღთქმისეულ მოწყობას მოძველებულ ძველაღთქმისეულ სახლმშენებლობასთან – მუხ. 18-21.

ბ. ისინი ვერ აცნობიერებდნენ, რომ კანონის მოწყობა მთლიანად დასრულდა, რომ საჭირო იყო, მთლიანად დამორჩილებოდნენ მადლის მოწყობას და რომ ნებისმიერი უგულებელყოფა განსხვავებისა ამ ორ მოწყობას შორის იქნებოდა ღმერთის მოწყობითი მმართველობის წინააღმდეგ და ძალიან დააზიანებდა ღმერთის სახლმშენებლობის გეგმას ეკლესიის, როგორც ქრისტეს გამოხატულების, აშენებასთან დაკავშირებით – იოანე 1:16-17; გამოცხ. 2:9.

გ. კანონი მოთხოვნას უყენებს ადამიანს იმის თანახმად, რასაც წარმოადგენს ღმერთი; მადლი ამარაგებს ადამიანს იმით, რაც არის ღმერთი, რათა შეასრულოს ღმერთის მოთხოვნა; მადლი არის ღმერთი, რომლითაც ადამიანი ტკბება – იოანე 1:16-17; გალ. 6:18; 2 კორ. 13:14; 12:9; 1 პეტ. 4:10; ეფეს. 3:2; 4:29; 6:24.

IV. უდიდესი პრობლემა ღმერთის შვილებს შორის არის ადამიანის „მეს“ ნაზავი ადამიანის სულთან – ებრ. 4:12:

ა. ეს ნაზავი არ აძლევს უფლებას ბევრ ადამიანს, რომ ემსახურონ ღმერთს, რადგან მათ სულში არის მნიშვნელოვანი ნაზავი, რომელიც არ არის მოსაწონი ღმერთისათვის – 2 ტიმ. 1:3.

ბ. სული ჩვენს ყველაზე ღრმა ნაწილში არის სუფთა და შეუბილწავი, მაგრამ, როდესაც სული გამოდის გარეთ და გაივლის სამშვინველსა და სხეულს, ის შეიძლება დაბინძურდეს სიბილწითა და გახრწნილებით – 2 კორ. 7:1.

გ. სულზე მუშაობაში ყურადღება მახვილდება უწმიდურ სურვილებსა და განზრახვებზე მუშაობაზე, და ასევე სხვა მინარევებზე ჩვენ შიგნით – 1 თეს. 5:23; 2 ტიმ. 1:7.

V. ჩვენ უნდა ვიყოთ სუფთები გულში, სინდისში და სულში:

ა. გულით სუფთანი იხილავენ ღმერთს – მათე 5:8; იობი 42:5; გამოცხ. 22:4:

1. ვიყოთ სუფთები გულში, ნიშნავს, რომ გვქონდეს ერთი განზრახვა, რომ გვქონდეს მხოლოდ ერთი მიზანი; აღვასრულოთ ღმერთის ნება ღმერთის დიდებისათვის – 1 კორ. 10:31.
2. სუფთა გული არის გული, რომლისთვისაც ერთადერთი მიზანი არის უფალი – 1 ტიმ. 1:5; 2 ტიმ. 2:22; ფსალ. 73:1.
3. ახალაღთქმისეული მნიშვნელობით ღმერთის დანახვა იგივეა, რომ მოვიპოვოთ ის, ხოლო ღმერთის მოპოვება ნიშნავს, რომ მივიღოთ ღმერთი მის ელემენტში, სიცოცხლესა და ბუნებაში, რათა შევდგეთ ღმერთით; როდესაც ჩვენ ვხედავთ ღმერთს, ეს გარდაგვსახავს ჩვენ, რადგან, ღმერთის დანახვით, ჩვენ ვიღებთ ჩვენში მის ელემენტს და ჩვენი ძველი ელემენტი გამოდის ჩვენგან – 2 კორ. 3:18.
4. დავინახოთ ღმერთი – ნიშნავს, რომ გარდავისახოთ ქრისტეს დიდებულ სახებად, ღმერთკაცად, რათა გამოვხატოთ ღმერთი მის სიცოცხლეში და წარმოვადგინოთ ის მის ძალაუფლებაში – 1 იოანე 3:1-3; დაბ. 1:26.
5. ჩვენ უნდა ვიყოთ გულით სუფთანი და არ უნდა ვიყოთ გაორმაგებული იმაში, რაც შეეხება უფლის აღდგენას; მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენ, რომ დავეხმაროთ აღდგენას – 1 ტიმ. 1:5; 2 ტიმ. 2:22; 1 პეტ. 1:22.

ბ. ჩვენ უნდა გვქონდეს არა მარტო კეთილი სინდისი, ჩვენ ასევე უნდა გვქონდეს სუფთა სინდისი – საქმე. 23:1; 24:16; 1 ტიმ 3:9; 2 ტიმ. 1:3:

1. კეთილი სინდისი არის სინდისი ხინჯის გარეშე ღმერთთან და ადამიანთან მიმართებით – საქმე. 23:1; 24:16.

2. სუფთა სინდისი არის სინდისი, რომელიც გასუფთავებულია ყოველგვარი მინარევისაგან; ასეთი სინდისი მოწმობს იმაზე, რომ ჩვენ, პავლეს მსგავსად, ვეძებთ მხოლოდ ღმერთსა და მის ნებას – 2 ტიმ. 1:3.

გ. პირველი თვისება, რომელიც საჭიროა სამუშაოში, – არის სულის სისუფთავე – 2 კორ. 6:4ა, 6:

1. ძალიან ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, რომლის სულიც არის სუფთა (7:1); სისუფთავე არის აუცილებელი პირობა ხელმძღვანელობაში და ძირითადი მდგომარეობა ჩვენი მსახურებისა (1 ტიმ. 3:9; 1:5); მინარევების პრობლემა არის ყველაზე სერიოზული პრობლემა მუშაკებს შორის; უწმინდურობა ხშირად არის სათავე გაუგებრობისა და ეჭვებისა (2 ტიმ. 1:3; 1 ტიმ. 3:9; ტიტ. 1:15).
2. ჩვენ მთლიანად უნდა მოვუღოთ ბოლო მთელ მინარევს ჩვენს სულში, რათა გამოთავისუფლებისას ჩვენმა სულმა არ წარმოქმნას საფრთხე და არ გააღიზიანოს სხვები.
3. თუ ჩვენ გვინდა, რომ გამოგვიყენოს ღმერთმა, ჩვენი სული უნდა იყოს გამოთავისუფლებული და ჩვენი სული უნდა იყოს სუფთა – 2 კორ. 6:4ა, 6.

VI. ქალაქი ახალი იერუსალიმი – არის სუფთა ოქრო, მსგავსი სუფთა მინისა, და ქალაქის ქუჩა არის სუფთა ორქო, როგორც გამჭვირვალე მინა – გამოცხ. 21:18ბ, 21ბ:

ა. ოქრო აღნიშნავს ღმერთის ბუნებას; ის, რომ ქალაქი არის სუფთა ოქრო, მიუთითებს იმაზე, რომ ქალაქი შედგება ღვთაებრივი ბუნებისაგან და აქვს ღვთაებრივი ბუნება თავის ელემენტად – მუხ. 18ბ.

ბ. ქუჩისა და ქალაქის სუფთა ოქრო მსგავსია სუფთა მინისა; ეს ნიშნავს, რომ მთელი ქალაქი არის გამჭვირვალე და არ არის ბუნდოვანი – მუხ. 21ბ:

1. თუ ჩვენ მივიღებთ ღმერთის ბუნებას, როგორც ჩვენს ერთადერთ გზას, ჩვენ ვიქნებით სუფთები, არ გვექნება არავითარი მინარევი, და ვიქნებით გამჭვირვალეები, არ გვექნება არავითარი ბუნდოვანება.
2. თუ ჩვენ ავივსებით და გავიჟღინთებით მაცოცხლებელი სულით, ჩვენი შინაგანი არსება გახდება გამჭვირვალე და კრისტალურად სუფთა – 2 კორ. 3:8-9, 18.

გ. თუ ჩვენ გვინდა, რომ გვქონდეს ეკლესიური ცხოვრების სინამდვილე, თვითონ ეკლესია უნდა იყოს სუფთა ოქრო, ანუ უნდა შედგებოდეს მთლიანად ღვთაებრივი ბუნებისაგან; აქ ჩვენ გვჭირდება ჯვრის სამუშაო, რომელიც გაგვწმენდს ჩვენ და გაგვათავისუფლებს ყველა მინარევისაგან – გამოცხ. 1:11, 20.

დ. განსხვავება განდგომილ ქრისტიანულ სამყაროსა და ნამდვილ ეკლესიას შორის არის ის, რომ პირველი წარმოდგენს ნაზავს, ხოლო მეორე არის რაღაც სუფთა; ადგილობრივი ეკლესიები, მსგავსად ახალი იერუსალიმისა, უნდა იყოს კრისტალურად სუფთა, არ უნდა ჰქონდეს არავითარი მინარევი – 22:1.